ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2810372

ნომერი: AR1436009

თარიღი : 30.08.2016

გაცემის თარიღი : 07.09.2016

გაცნობის თარიღი : 07.09.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა კაჭკაჭიშვილი პ/ნ 01024037487
- თბილისი შ.გამცემლიძის ქ. N 13

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

თქვენი AR1436009 30.06.2016 წ. განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ #01.72.14.036.700 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემას, გაცნობებთ შემდეგს: რეალური მდგომარეობით, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე უშუალოდ მიმდებარე არეალის ჩამოყალიბება განხორციელდა საკარმიდამო განაშენიანების სტატუსით, რომელშიც მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გაჩენა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, გამოიწვევს დისონანსს და სამეზობლო თემენის პრინციპების დარღვევას. რადგან ფიქსირდება მოსახლეობის საჩივრები მითითებულ ტერიტორიაზე დაბალი ინტენსივობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით დამუშავებული უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ინტერესების გათვალისწინებით და გარდა ამისა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების გაცემის სტადიაზევე წარმოდგენილი უნდა იქნეს მესაკუთრეთა შესაბამისი წესით ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე–8 მუხლის თანახმად განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალი არ შეიძლება იყოს 5000მ2–ზე (0.5 ჰა) ნაკლები; იმ შემთხვევაში თუ მოხდეს საპროექტო არეალის გაზრდა და შესაბამისი დასაბუთების წამოდგენა საკითხს განიხილავს სამსახური და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.